ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N GF-H/SSP/S-372

ქ. თბილისი 11 ოქტომბერი 2016 წელი

ერთის მხრივ, სსიპ „ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი“ - ს/კ - 211324351 (შემდგომში „შემსყიდველი“) მისი გენერალური დირექტორის მოადგილის/გლობალური ფონდის პროგრამების დირექტორის ირმა ხონელიძის სახით და მეორეს მხრივ, შპს “სი-ტი პარკ”-ი - ს/კ - 204543770 (შემდგომში „მიმწოდებელი“) მისი გენერალური მენეჯერის ბინიამინ ლაჰავის სახით, ვაფორმებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების შესყიდვის ობიექტი და გაფორმების საფუძველი

1.1. ხელშეკრულების ობიექტია აივ ინფექციის/შიდსის, ტუბერკულოზისა და მალარიის წინააღმდეგ ბრძოლის გლობალური ფონდის (The Global Fund to Fight AIDS, Tuberculosis and Malaria) მიერ დაფინანსებული პროგრამის ფარგლებში ავტოსატრანსპორტო საშუალებებისათვის ერთწლიანი პარკირების მომსახურების შესყიდვა **(CPV63712400 - ავტოსადგომების მომსახურებები).**

1.2. ხელშეკრულების დაფინანსების წყაროა აივ ინფექციის/შიდსის, ტუბერკულოზისა და მალარიის წინააღმდეგ ბრძოლის გლობალური ფონდის (The Global Fund to Fight AIDS, Tuberculosis and Malaria) მიერ დაფინანსებული „საქართველოში აივ/შიდსის პრევენციის, მკურნალობისა და მოვლის ღონისძიებების გაძლიერება და მდგრადობის უზრუნველყოფა“ (GEO-H-NCDC) პროგრამა (საბიუჯეტო ხაზი: NHP-336).

2. შესყიდვის საგანი.

2.1. შესყიდვის საგანია „შემსყიდველის“ მფლობელობაში არსებული სატრანსპორტო საშუალებების სახმელეთო, წყლისა და საჰაერო ტრანსპორტის დამხმარე მომსახურებების შესყიდვა. კერძოდ ერთწლიანი პარკირების მომსახურების **(CPV63712400 ავტოსადგომების მომსახურებები)** შესყიდვა ამ ხელშეკრულებაზე თანდართული დანართის შესაბამისად (დანართი №1).

3. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

3.1 ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს **100.00 (ასი)** ლარს.

3.2 ერთი ავტომანქანის წლიური პარკირების საფასური შეადგენს **50.00 (ორმოცდა ათი)** ლარს.

3.3 პარკირების მომსახურების შესყიდვა ხორციელდება 2 (ორი) ერთეულ ავტომანქანაზე, რომელთა ტექნიკური მონაცემები მითითებულია დანართი №1–ში.

3.4 ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს მომსახურების გაწევასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

4. ხელშეკრულების კონტროლი

4.1. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს განახორციელებს შემსყიდველის მიერ შექმნილი ინსექტირების ჯგუფი ან/და ხელშეკრულების შესრულების კონტროლზე გამოყოფილი პასუხისმგებელი პირი.

5. შესყიდვის ობიექტის მიწოდების პირობები, ადგილი და ვადები

5.1. „მომსახურების“ მიწოდება განხორციელდება დანართი №1–ის შესაბამისად.

5.2. „მომსახურების“ მიწოდების ადგილია - ქ. თბილისი.

5.3. „მომსახურების“ მიწოდების ვადაა - „მომსახურების“ საფასურის ჩარიცხვიდან დღიდან მომდევნო წლის შესაბამის კალენდარულ დღემდე.

6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1. მიღება-ჩაბარების წინ განხორციელდება გასაწევი მომსახურების ინსპექტირება, რომელსაც განახორციელებს ამ ხელშეკრულების მე-4 პუნქტით განსაზღვრული ინსპექტირების ჯგუფი ან/და ხელშეკრულების შესრულების კონტროლზე პასუხისმგებელი (უფლებამოსილი) პირი.

6.2. მიღება-ჩაბარების აქტებს ხელს აწერენ მხარეების სათანადოდ უფლებამოსილი წარმომადგენლები.

6.3. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარებისათვის მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს – საგადასახადო ანგარიშფაქტურა, მომსახურების დასახელების, რაოდენობის, ერთეულის ფასის და საერთო ღირებულების მითითებით. საგადასახადო ანგარიშფაქტურაში წინამდებარე ხელშეკრულების ნომრის მითითება სავალდებულოა.
6.4. მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს შემსყიდველისათვის 6.3. პუნქტში მითითებული დოკუმენტაციის წარდგენა ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში. პასუხისმგებლობა შემსყიდველის მიერ აღნიშნული დოკუმენტაციის დაგვიანებით მიღების ან მიუღებლობის შედეგად წარმოქმნილი ყველა ხარჯებისათვის ეკისრება მომწოდებელს.

7. ანგარიშსწორების წესი, ფორმა და ვადები
7.1. ანგარიშსწორება განხორციელდება ლარებში.
7.2. გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება იწარმოებს ერთჯერადად, პარკირების წლიური მომსახურების საშვის გააქტიურების შემდგომ, გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის და მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი ფინანსური დოკუმენტების საფუძველზე. მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არა უგვიანეს 20 (ოცი) სამუშაო დღის ვადაში.
7.3. ანგარიშწორებისათვის მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს ამ პუნტის 7.2. პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტაცია, ასევე დადგენილი წესით შევსებული საგადასახადო ანგარიშფაქტურა.

8. მხარეთა უფლება-მოვალეობანი
8.1 შემსყიდველი უფლებამოსილია მოითხოვოს ნივთობრივად და უფლებრივად უნაკლო მომსახურების გაწევა.
8.2. შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს ხელშეკრულება გაწეული მომსახურების ხარისხის და/ან მიწოდების პირობების გაუარესების გამო, აგრეთვე მე-9-ე პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში;
8.3 შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს განხორციელებული მომსახურების ღირებულების დროული გადარიცხვა მიმწოდებლის საბანკო ანგარიშზე;
8.4. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს განხორციელებული მომსახურების ღირებულების დროული ჩარიცხვა მის საბანკო ანგარიშზე;
8.5. მომწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს:
ა) ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული ხარისხის მომსახურების გაწევა შემსყიდველისათვის წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შესაბამისად;
ბ) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების გადახდა და არ მოსთხოვოს შემსყიდველს სხვა არავითარი გადასახადის ან დამატებითი თანხის გადახდა;
გ) გაეცნოს და დაიცვას გლობალური ფონდის (დონორის მიერ პერიოდულად განახლებადი და გლობალური ფონდის ვებ. გვერდზე http://www.theglobalfund.org/en/documents/governance/ განთავსებული) „მიმწოდებლების ქცევის კოდექსი" და ასევე უზრუნველყოს მისი გაცნობა ქვეკონტრაქტორებისთვის (არსებობის შემთხვევაში);

9. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის
9.1. იმ შემთხვევაში, თუ მხარე ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებას მას დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 3%-ს ოდენობით.
9.2. მხარე ვალდებულია ამ მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში დაკისრებული პირგასამტეხლო გადაიხადოს წერილობითი შეტყობინების მიღებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში.

10. ფორს-მაჟორი
10.1. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

10.2. ამ ხელშეკრულების მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნეს ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნების მკვეთრი შემცირებით და სხვა.
10.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

11. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა და ფასები

11.1 არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება, ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.
11.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.
11.3. ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.
11.4. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება ან/და დამატება უნდა გაფორმდეს წერილობით, ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

12. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

12.1 მხარეთა შორის წამოჭრილი დავა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნეს ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.
12.2. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.
12.3. თუ მხარეები ვერ შეძლებენ მოლაპარაკების საფუძველზე გადაწყვიტონ დავა, მაშინ ნებისმიერ მხარეს შეუძლია მიმართოს საქართველოს შესაბამის სასამართლოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

13. ხელშეკრულების შეწყვეტა

13.1. ხელშეკრულება წყდება ხელშეკრულების ვადის გასვლით, ხელშეკრულების პირობების შესრულებით ან მხარეთა შეთანხმებით.
13.3. მხარეთა შეანხმებით ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში ინიციატორი მხარე ვალდებულია მეორე მხარეს წერილობით აცნობოს აღნიშნულის თაობაზე. ხელშეკრულების შეწყვეტას უნდა გააჩნდეს ობიექტური დასაბუთება.
13.4. წერილობითი შეტყობინება არ ათავისუფლებს მხარეებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან ხელშეკრულების შეწყვეტამდე.
13.5. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს ასევე, ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ცალკეულ შემთხვევებში.

14. სხვა პირობები და ხელშეკრულების მოქმედების ვადა

14.1. მხარეები ხელმძღვანელობენ ურთიერთპატივისცემის პრინციპით და თანამშრომლობის გაღრმავების სურვილით.

14.2. ხელშეკრულების მხარეები ვალდებულნი არიან გაუფრთხილდნენ თითოეულის სახელს, საქმიან რეპუტაციას და ღირსებას.
14.3. მხარეები ვალდებულნი არიან დაიცვან ერთობლივი საქმიანობის შედეგად მათთვის ცნობილი მეორე მხარის კონფიდენციალური ინფორმაცია.
14.4. ხელშეკრულების მხარეებს არა აქვთ უფლება გააკეთონ განცხადება მეორე მხარის მიერ ხელშეკრულების ვერ ან არ შესრულების, მისი შესრულებისას დარღვევების და ა.შ. თუ წინასწარ არ მოხდა შესაბამისი საკითხის ერთობლივი შესწავლა და შესაბამისი ფაქტების დადასტურება.
14.5. კონფიდენციალობის დარღვევად არ ჩაითვლება შემთხვევა, როდესაც ინფორმაციის გამჟღავნება წარმოადგენს კანონის ან კანონის საფუძველზე ხელისუფლების რომელიმე ორგანოს მიერ გამოცემული აქტის მოთხოვნას.
14.6. ხელშეკრულება შედგენილია 3 (სამი) ეგზემპლარად და თითოეულ მათგანს გააჩნია თანაბარი იურიდიული ძალა.
14.7. ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი ინახება „მიმწოდებელთან", ორი - „შემსყიდველთან".
14.8. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება 2017 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

15. მხარეთა რეკვიზიტები

„შემსყიდველი"

სსიპ "ლ. საყვარელიძის სახ. დაავადებათა კოტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი"

ქ.თბილისი, ასათიანის ქ. №9
ს/კ 211324351

სახელმწიფო ხაზინა
ბ/კ TRESGE22
ა/ა GE24NB0330100200165022

________________ ბ.ა.
ირმა ხონელიძე
გენერალური დირექტორის მოადგილე/გლობალური ფონდის პროგრამების დირექტორი

„მიმწოდებელი"

შპს „სი-ტი პარკი"
მისამართი: 0160 ქ. თბილისი, კანდელაკის ქ. №47
საიდენტიფიკაციო კოდი: 204543770
ელ. ფოსტა ct-park@ct-park.ge
ტელ: (032) 2-555-123
სს „ბანკი რესპუბლიკა" ც/ფ
ბ/კ REPLGE22
ა/ა GE90BR0000010608618945

________________ ბ.ა
ზინაიდა ლაპავი
გენერალური მენეჯერი

დანართი 1

№	ავტომანქანის მარკა	ავტომანქანის სახელმწიფო №	პარკინგის ვადა (სი-ტი პარკი)	რეგიონი
1	HYUNDAI IX35	MM 369 VV	ერთი წელი	ქ. თბილისი
2	CHEVROLET EPIKA	ZZ 125 ZZ	ერთი წელი	ქ. თბილისი

სსიპ „ლ. საყვარელიძის სახ. დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი“

ს/კ 211324351

ირმა ხონელიძე

გენერალური დირექტორის მოადგილე/გლობალური ფონდის პროგრამების დირექტორი

შპს "სი-ტი პარკ"-ი

ს/კ 204543770

ბენიამინ ლოვპავი

გენერალურიმენეჯერი